




ხაშურის მთაშუა



№2

9 ივნისი, სამშაბათი, 2015 წელი

„მე ჩემს მეგობრებს მოვუყვები ხაშურზე და საქართველოზე“

მშვიდად და სანახაობრივად ჩაიარა 26-მა მაისმა. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქუჩის მსვლელობით დაიწყო და კონცერტით დასრულდა. იყო შერეული კულტურების ზეიმი-ადგილობრივ ანსამბლებთან და ინდივიდუალურ შემსრულებლებთან ერთად, წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნების სიხარული, ლატვიური ფოლკლორული ცეკვის ანსამბლთან



ერთად გავიზიარეთ. დამეთანხმებით, ღონისძიება საკმაოდ სანახაობრივი აღმოჩნდა.

გაგიკვირდებათ, ალბათ, რატომ ვწერთ ასე დაგვიანებით, მათი ვიზიტის შესახებ, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის მოწვევით განხორციელდა, ჩვენს წინა ნომერში უკვე მოგახსენეთ მოკლე ინფორმაციის სახით, მაგრამ მათი სტუმრობით გამოწვეული ემოციები იმდენად დიდია, ამის გვერდის ავლა, უბრალოდ, დანაშაულად ჩავთვალეთ ჩვენი ქვეყნის და რაიონის წინაშე. ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარს საქართველოზე შეყვარებული უცხოელები. მათი ვიზიტი სულ რამდენიმე დღეს მოიცავდა, ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, ორი განსხვავებული კულტურის ხალხის დაახლოებისთვის-ბორჯომის უნიკალური ბუნების, მინერალური წყლების, ჩვენი, ქართლური გულდიაობის, სითბოს გამოხატულების სიმბოლოა საქართველო დღეს ლატვიელი ხალხის წარმოსახვაში. შთაბეჭდილებები დღესაც უცვლელია. რამდენიმე მათგანმა ქართველობა და საქართველოში ცხოვრებაც კი ისურვა:

ხანე გორსკოვა-მთელი წელი ვემზადებოდით საქართველოში ჩამოსასვლელად. ვიცოდით, რომ განსხვავებული ტრადიციების, ისტორიის, კულტურის ქვეყანაში მოვიდოდით. ჯერ მხოლოდ ხაშურის და ბორჯომის ნახვა შეეძლო. ემოციებით ვარ დატვირთული. საოცარი და ულამაზესი ბუნება გაქვთ. გავგაოცა ქართულმა სითბომ და სტუმართმოყვარეობამ, ქართულმა სუფრამ, სამზარეულომ,თამადის ინსტიტუტმა. მეც დღეს ერთ-ერთი თქვენგანი ვარ. ბევრი სადღეგრძელო

დავლიე თქვენი შესანიშნავი ქვეყნის, ხალხის, თქვენი მერის(გამგებლის). შეუძლებელია, საქართველოში არ გახდეთ ქართველი.ძალიან ცოტა დრო გვაქვს სტუმრობისთვის, ამიტომ გადავწყვიტეთ, რამდენიმე დღით გავიხანგრძლივოთ სიამოვნება და საქართველოს სხვა კუთხეებში მოვიხანხოლოთ.

ივო აიგარსი-მე ბელგიელი ვარ. დიდი ხანი არაა, რაც ამ ანსამბლში ვცეკვავ. რომ გავიგე, საქართველოდან მოწვევა გვეცემდა, სპეციალურად აქ ჩამოსასვლელად ჩავედი ლატვიაში. მე მოცეკვავე ვარ, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ რაც აქ ვნახე, გასაოცარია. ამხელა მთები არასოდეს მინახავს, ჩვენთან სულ გაშლილი ადგილებია, ზღვააქ ყველაფერი ბუნებრივი და ნატურალურია. განსხვავებული სამზარეულო გაქვთ. ძალიან მომეწონა ხაჭაპური, ხინკალი,მწვადი,ტარხუნის ღიმონათი- წყალსაც სხვანაირი გემო აქვს. ჩვენ ვიცოდით ბორჯომის მინერალური წყლის სასარგებლო თვისებების შესახებ, გამიხარდა, რომ მისი არა მხოლოდ დაღვევა შეეძლო, არამედ, ვნახე მისი ჩამოსხმის და წარმოების პროცესიც.მე ჩემს მეგობრებს მოვუყვები ხაშურზე და საქართველოზე.



სანტა ბერნატე-არსად არ მინახავს ასეთი თბილი და უშუალო დამოკიდებულება ადამიანებს შორის, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. არასდროს დამავიწყდება ჩვენს მიმართ გამოჩენილი ყურადღება და განსაკუთრებული სითბო, რომელიც გაგვყვება ლატვიაში.გასაოცარი ქვეყანა გაქვთ, ასეთი უღერადი და ოთხხმიანი სიმღერა არასოდეს მომისმენია. იმედი გვაქვს, კიდევ ვესტუმრებით საქართველოს და ჩვენი მეგობრობა ერთგვრადი და ცალმხრივი არ იქნება.

გავაცილეთ საქართველოზე შეყვარებული ჩვენი ლატვიელი მეგობრები, მომავალში დაბრუნების და გაგრძელებული მეგობრობის იმედით. ხაშურის მუნიციპალიტეტმა კი კიდევ ერთხელ შეძლო სხვადასხვა ტრადიციების ადამიანთა დამეგობრება და ორ ქვეყანას შორის კულტურული ფასეულობების გაცნობა და გაცვლა.

სურათებზე: მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, ლატვიის მოცეკვავეთა ანსამბლ „ჟანდალსის“ ხელმძღვანელს ტამარა ლისოვცოვას გადასცემს ფესტივალის - „ხაშური საქართველოს შუაგულია“ - გამარჯვებულისა და ლაურეატის წოდების დამადასტურებელ დიპლომს; ლატვიელები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე.
თ. ჯავახიშვილი

ხილული სასწაულები ხატადქცეული ხელთუქმნელი ჯვარი

შეუცნობია ის გზები, რომლითაც უფალი ჩვენამდე მოდის. დიპროტი თითოეულ ჩვენთაგანშია და მხოლოდ რწმენა ამისა უკვე თავისთავად ნიშნავს ინდივიდის მიერ უზენაესთან მისასვლელი გზების ძიებას. ოც საუკუნეზე მეტია უფალი ჩვენი მრავალ ხილულ სასწაულს უგზავნის კაცობრიობას და მორწმუნენიც იღებენ მას, როგორც კიდევ ერთ დადასტურებას ქრისტიანული ჭეშმარიტებისა.

ამ ცოტა ხნის წინ კოდისწყაროს დეთისმშობლის სახელობის მონასტრის მშენებლობისას სწორედ ასეთი ხილული სასწაულის მოწმენი გახდნენ მშენებლები.

ბეგლარ ციციქიშვილი (ტაძრის მსახური, მედავითნე): მონასტრისთვის მოპოვებული ფიჭვის მორი დასახეხად გავამზადეთ. როდესაც შუაზე გადავჭერთ,თვალეებს არ ვუჯერებდით,მასზე ისე ლამაზი ჯვარი იყო გამოსახული, გაცივებისგან დიდი ხანი ხმას ვერ ვიდებდით. დღეს ნამდვილად მჯერა, სწორედ უფლის ნება იყო, რომ ზუსტად ეს მორი

შეგვეჩინა და ზუსტად იმ ადგილზე გადაგვეჭრა, სადაც ეს ულამაზესი სიმბოლო იყო ქრისტიანებისა...

ჩვენი მკითხველი სურათზეც ხედავს ამ საოცრებას, მაგრამ სურათს სრულყოფილად არ შეუქნია გადმოსცეს ის ემოცია, რასაც ორიგინალი იწვევს. ჯვრის ცენტრში გამოსახული დედალური სიმეტრიის ეგრეთწოდებულ ბოლნურ ჯვარს ულამაზესი „ფრთხები“ ამშვენებს და ერთობლიობაში ს რ უ ლ ყ - ო ფ ი ლ ე ბ ა ს განსახიერებს.



ჯვარს უკვე გაუკეთდა მტკიცე კარკასი და მონასტრის მშენებლობის დასრულების შემდეგ, რომელსაც სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე სვიმეონოს ლოცვა-კურთხევით მამა სერაფიმე უდგას სათავეში, იგი უკვე ხატადქცეული ამავე მონასტერში დაბრძანდება. გ. გოგოლაძე

**ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
დადგენილება #21**

2015 წელი 1 ივნისი, ხაშური

**ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო
წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და
მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი დამე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შემოღებულ იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება „ხაშურის საპატიო მოქალაქე“ .

მუხლი 2. შემოღებულ იქნეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია“.

მუხლი 3. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებების და ჯილდოების მინიჭების წესი დანართი #1-ის შესაბამისად.

მუხლი 4. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის პრემიის ლაურეატის მოწოდებები დანართი #2-ის და დანართი #3-ის შესაბამისად.

მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 სექტემბრის 145 დადგენილება.

მუხლი 6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

**დანართი 1
ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო
წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების წესი**

ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების საფუძვლებსა და წესს.

მუხლი 1.

1. საპატიო წოდება „ხაშურის საპატიო მოქალაქე“ ენიჭება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქეს:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

ბ) ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ხანგრძლივი და უმწიკველი სამსახურისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის;

გ) უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე, ხაშურის მუნიციპალიტეტთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

2. „ხაშურის საპატიო მოქალაქის“ წოდებას ანიჭებს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი. „ხაშურის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭების თაობაზე მოტივირებული განაცხადის წარდგენის უფლება აქვს:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს;

ბ) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს;

გ) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს;

დ) საქართველოს პარლამენტის წევრს - ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს;

ე) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ(ებს);

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტს;

3. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

ა) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის -ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული);

ბ) კანდიდატის ორი ფოტოსურათი, ზომით;

გ) კანდიდატის წერილობითი თანხმობა;

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იხილავს წარმოდგენილ მასალებს და მათი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში წინადადებასა და ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტის პროექტს წარუდგენს გამგებელს. გამგებელი გამოსცემს ბრძანებას საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

5. ხაშურის საპატიო მოქალაქეებს ეძლევათ „ხაშურის საპატიო მოქალაქის“ მოწოდება (დანართი 2) და მედალი. საპატიო მოქალაქის გვარი შეტანილ იქნება „ხაშურის საპატიო მოქალაქის“ წოდების წიგნში.

6. „ხაშურის საპატიო მოქალაქის“ წოდება ენიჭებათ მხოლოდ კონკრეტული დამსახურებისათვის, დაუშვებელია „ხაშურის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭება მხოლოდ ნამსახურევი წლებისა და საიუბილეო თარიღის გამო.

7. „ხაშურის საპატიო მოქალაქის“ მოწოდებას და მედალს საზეიმო ვითარებაში გადასცემს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ან მისგან უფლებამოსილი პირი.

8. „ხაშურის საპატიო მოქალაქეობის“ ჩამორთმევა შეუძლია ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს მის მიერ შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ მიერ უღირსი საქციელის ჩადენის, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის ან საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 2.

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია“ ერთჯერადად ენიჭება საქართველოს მოქალაქეებს საქართველოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის.

2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის“ გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება 7 (შვიდი) წევრით.

3. კონკურსის პირობები:

ა) კონკურსი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით გამოცხადდეს ორ წელიწადში ერთხელ ხაშურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე <http://khashuri.org.ge/> . საკონკურსო განაცხადების შემოტანა განხორციელდეს კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში. (მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ხაშური, ტაბიძის ქ. 2)

ბ) „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის პრემია“ ენიჭება:

ბ.ა) დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების და შემოქმედების კვლევისათვის ნომინანტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სამეცნიერო ნაშრომები- მონოგრაფია, სტატიები, დოკუმენტური მასალა და იყოს ამ საკითხისა და სფეროს აღიარებული მკვლევარი;

პრემიის ოდენობა განისაზღვროს 2500 ლარით.

ბ.ბ) განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე, ნომინანტს მნიშვნელოვანი წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი ისტორიის, კულტურის და ხელოვნების განვითარების, მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში. ხაშურის მუნიციპალიტეტის ავტორიტეტისა და ცნობადობის გაზრდაში, რეგიონისა და ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში.

პრემიის ოდენობა განისაზღვროს 2500 ლარით.

4. დროებითი სამუშაო ჯგუფი განაცხადების მიღების ვადის გასვლიდან 2 (ორი) კვირის ვადაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატურას „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის“ მისანიჭებლად გამარჯვებულ კანდიდატურას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

5. დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გამარჯვებული კანდიდატის გამოუვლენობის შემთხვევაში კონკურსი ითვლება ჩაშლილად და ახალი კონკურსი ტარდება ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნებითა და ვადების დაცვით.

6. მუნიციპალიტეტის გამგებელი ან მისგან უფლებამოსილი პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის“ ლაურეატს გადასცემს შესაბამის მოწოდებას (დანართი #3) და ფულად პრემიას.

ძლიერი სოფელი ძლიერ ქვეყანას ნიშნავს

ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს ირჩევს და მის განვითარებასა და ხელშეწყობაზე ორიენტირებული ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა სწორად შეარჩევს და გამოიყენებს ქვეყნის რესურსებს და მას ეკონომიკისთვის ძლიერ ბერკეტად აქცევს. საქართველოს კი მისი არსებობის დღიდან აგრარული დანიშნულება აქვს.



მიუხედავად მცირემიწიანობისა, ქვეყანას მრავალკულტურაზე შეუძლია თვითწარმოებით შიდა ბაზრის უზრუნველყოფა და ექსპორტზე ფიქრიც კი. წინა ხელისუფლების პირობებში ქვეყანაში მაღალი ურბანიზაციის დონე იყო-სოფელი გადავიდა ქალაქად. სოფლის მოსახლეობამ ვერ დაინახა სოფელში დარჩენის მიზანი, არადა სახელმწიფოს მხრიდან ხელ შეწყობა-გლეხის ერთუზიაში და სახელმწიფოს კეთილი ნება, ძლიერ სოფელს ნიშნავს.

ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების ორიენტირი ჯანდაცვაზე და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე აიღო. იაფი აგროკრედიტები, კოოპერატივები, ყოველწლიური დახმარება შხამ-ქიმიკატების და სასუქების სახით, ხელმისაწვდომი და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა, დახმარების საერთაშორისო პროგრამები, სოფლის განვითარების ხეაღინდელი დღეა. ამ მხრივ გამოწვევის არც ჩვენი რაიონი წარმოადგენს. რა ტიპის ხელშეწყობის პროგრამები განხორციელდა მათი ხელისუფლებაში მოსვლის სამწლიან პერიოდში, რა კეთდება და რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს ცასა და და სახელმწიფოსკენ მზერამიმართულ გლეხს, ამაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსი **ჯემალ გელაშვილი** გვესაუბრება:

-2013 წელს, სამსახურის საქმიანობა დაწყებული იქნა “მცირე მიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სამთავრობო პროგრამის” მონაწილე ბენეფიციართა სიების შედგენა-ფორმირებისა და დაზუსტების საქმით. 2013 წელს სულ ქვეყანაში 120829 ბენეფიციარმა მიიღო ხენის და სასოფლო სამეურნეო ინვენტარის შეძენის ბარათი. ამავე წელს, მოსახლეობას გავაცანით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წესდების ორი საინიშნო ფორმა და სხვა. ამის საფუძველზე, 2014 წელს, სამსახურის მუშაკთა უშუალო ახსნა-განმარტებით და პრაქტიკული დახმარებით, შეიქმნა 19 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. აქედან



კოოპერატივი “რაქდენი” რიგით მეორეა საქართველოში. კოოპერატივებში გაერთიანდა 138 წვრილი გლეხური ფერმები.

2014 წლის საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის მეორე წლის წარმატების ჩატარების მიზნით, 839-მა ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი. სულ კი პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 12 511-მა ბენეფიციარმა. აქედან ხენის ბარათი 8027-მა, აგრობარათი - 4240-მა ბენეფიციარმა, შედეგად მოიხნა 5195 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, აგრობარათით კი შეიძინეს 6160355 ლარის მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები და სათესლე მასალა.

საქმიანი ურთიერთობა გვექონდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან USAID/NEO, USAID/REAP, Mercy corps. ამ ორგანიზაციების მიერ საგრანტო კონკურსში ჩვენი ინიციატივით მონაწილეობა მიიღო 21-მა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა. ფართო ახსნა-განმარტებითი სამუშაოები გაეწიეთ მუნიციპალიტეტის გამგეობის

წარმომადგენლებთან ერთად შეღავათიანი აგროკრედიტის და აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ საპილოტე პროგრამის მოსახლეობაში გავრცელებისათვის, როგორც 2014 წელს, ასევე მიმდინარე წლის განვლილ პერიოდშიც. შედეგად, ათობით ფერმერმა მიიღო შეღავათიანი კრედიტი.

სათანადოდ ჩავერთეთ 2014 წლის სარწყავი სეზონის მომზადების საქმეში. კერძოდ, ჩვენი ინიციატივით, ტაშისკარ-სალთვისის ცენტრალური მაგისტრალის ქვიშხეთის მონაკვეთზე აღდგენილ იქნა ე.წ მაგისტრალური არხი, რომლის საშუალებითაც გასარწყავების პირობები შეექმნათ სოფლების: ცხრაბუხის, ქვიშხეთის, ოსიაურის, გომის, სატივის 700 ოჯახზე მეტს 1200 ჰექტარ ფართობზე.

სტიქის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის კომისიებში სამსახურის მუშაკები ვმონაწილეობდით გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში 30 დღის განმავლობაში და ქვიშხეთის ტერიტორიული ერთეულის სოფლებში ორი კვირის განმავლობაში. სტიქის შედეგად მიყენებული ზარალი აღირიცხა თითოეულ ოჯახზე.

2015 წელს მთავარი ყურადღება გამახვილებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ სამთავრობო პროექტის “დანერგვ მომავალი“-ს ბენეფიციარებამდე დაყვანაზე. მუნიციპალიტეტის ცამეტეფე ტერიტორიული ერთეულის და მასში შემავალ უმეტეს დიდ სოფლებში შეხვედრები მოეწყო, როგორც მცირე, ისე მსხვილ ფერმერებთან და კოოპერატივის ხელმძღვანელებთან. პროექტის დადებით შედეგებზე და მოსალოდნელ ეკონოკურ მასშტაბებზე განმარტათ ძირეულად და უკვე ექვსი ბენეფიციარი ამზადებს 30 ჰექტარ ფართობს შემოდგომისთვის მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის.



ვაგრძელებთ ახსნა-განმარტებით სამუშაოებს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შექმნის მიზნით. მიმდინარე წელს კიდევ ხუთი კოოპერატივი შეიქმნა და სულ მათი რიცხვი შეადგენს 24-ს. კიდევ 4 კოოპერატივი შექმნის პროცესშია. ჩვენს მიერ მიცემული რჩევა-დარიგებების შედეგად ოთხმა კოოპერატივმა მიიღო 16 ცალი მინი ტრაქტორი სათანადო აგრევატებით და საჩუქრად ხელის სათესებით.

სამსახურის მუშაკების მიერ მოძიებულ იქნა ENPARD-ის საგრანტო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ბოსტნეული კულტურების თანამედროვე ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანას და იგი გავაცანით ბენეფიციარებს. პროგრამაში, ჩვენი ჩარევით, მონაწილეობა მიიღო სამმა ბენეფიციარმა და მათ მოიპოვეს 7000 ლარის გრანტი დაწვიმებითი სარწყავი სისტემების შესაძენად. არასამთავრობო ორგანიზაცია Mercy corps-თან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა “რაქდენი“-მა ჩვენი უშუალო დახმარებით მიიღო 30000 ლარის ღირებულების გრანტი კარტოფილის სარგავი ტექნიკის, 2 ჰექტარი ფართობის წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოსაწყობად და სათესი და სარგავი მასალების შესაძენად. ამავე პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა “მომავალი”, რომელიც კონკურსის დასკვნით ეტაპზეა, მისი პირველი საგრანტო თანხა 7000 ევროს შეადგენს.

ჩვენს მიერ ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებთან შეთანხმებით შედგენილ იქნა საგაზაფხულო ხენა-თესვის გრაფიკები და წარმოდგენილ იქნა შ.პ.ს. “მექანიზატორის” ხელმძღვანელებთან. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით მოიხნა 6434,95 ჰექტარი, მათ შორის პროგრამით 4056,95 ჰექტარი. აგრეთვე, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე კვლავ დაყენებულ იქნა საკითხი კერძო მფლობელობაში არსებული ტრაქტორების მფლობელთა სამექანიზაციო სამუშაოების შესრულების ჩართულობაზე. სათანადო ახსნა-განმარტებებს ვაწარმოებთ გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად სამთავრობო პროგრამების მოსახლეობაში გაცნობის კუთხით. ესენია: აგროდაზღვევის 2015 წლის სამთავრობო პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემის განახლებული პროექტი, მიკრო და მცირემეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა. მიმდინარე წელს შემუშავებული იქნა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები და იგი მიუხსნადავით მუნიციპალიტეტის განვითარების მრავალდარგოვან პროექტს.

სამსახური მომავალშიც განაგრძობს წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებისთვის მუშაობას!

იმედი გვაქვს, აღნიშნული ღონისძიებები გლეხის კმაყოფილებას და მოწონებას დაიმსახურებს. გასაკეთებელი რომ ჯერ კიდევ ბევრია, ამაზე არც ერთი მხარე არ დაობს. კარგი დასაწყისი, საქმის ნახევარი, ამბობენ.

თ. ჯავახიშვილი
სურათებზე: კოოპერატივ “რაქდენში“ მიმდინარეობს ახლადგარემონტებული სარწყავი სისტემის დათვალიერება; უცხოელი სპეციალისტების სტუმრობა და კონსულტაციები ხშირია ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ბრძენს უთქვამს: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, პოლა, ჩვენ, თამაზის მეგობრები, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ გულწრფელად და დიდი რწმუნებით მივესალმებით 60 წლის თამაზ ლაცაბიძეს – მუზეუმის ქურუმს და გაზეთის მრავალრიცხოვანი მკითხველის, მეგობარ-ახლობლების სახელით ვულოცავთ დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებთ წარმატებას სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

ძმაო თამაზ! წინ დიდი გზა გაქვს გასავლელი ათასი აღმართ-დაღმართებით აღსავსე. გისურვებ ამ გზით ისევე სახელოვნად გაგვლას, როგორც აქამდე იარე წელგამართულმა და ათასი ნათელი აზრებით

დახუნძლულმა. ბევრი გააკეთე, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი რაიონის ისტორიის, მისი მატერიალურ-კულტურული საგანძურის მისაკვლევად და გამოსამზიურებლად. შენი საჯილდაო ქვას, შენ მეტი ვერაფერ შეეჭიდება, სწორედ ამას შეგახსენებთ გაზეთის ერთ-ერთი ანონიმი მკითხველი:

„გიცი აღმა-აღმა სვლას შენ არასდროს შეუშინდები, შენ საჯილდაო ქვას შენს მეტი სხვა ვერაფერ შეეჭიდება, პოლა, იხარე და იღვებრძელე, მრავალჯამიერ, შენს ხაშურს შენი თავი ჯერ კიდევ დიდხანს სჭირდება!“

ბედნიერია ქალაქი...

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ხაშურის მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის იუბილეს.

განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ განუზომელია თქვენი, როგორც მკვლევარის ღვაწლი ხაშურის ისტორიის კვლევასა და მეცნიერულ შესწავლაში.

მომავალი თაობებისთვის ჩვენი ქალაქის თანამედროვეობა, ჩვენი უახლესი წარსული სწორედ თქვენი ნაშრომებით არის და იქნება ხელმისაწვდომი, რაც დაეხმარება მათ კარგად გაანალიზონ ჩვენი და ჩვენი წინა თაობების წარმატებები თუ შეცდომები და, აქედან გამომდინარე, დასახონ სამომავლო გეგმები.

სასიამოვნო და საამაყოა, რომ ჩვენი თანამედროვე ადამიანი, რომლისთვისაც ასე ძვირფასია ჩვენი ქალაქის, ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის ყოველი ადგილი, რომელიც ჩვენს თვალწინ, ჩვენივე თანამონაწილეობით ქმნის ჩვენს ისტორიას. მისაბაძი და სამაგალითოა ბატონი თამაზის დამოკიდებულება საქმისადმი და სამსახურისადმი.

ბედნიერია ქალაქი, რომელსაც ბედმა გულშემატკივრად ბატონი თამაზ ლაცაბიძე არგუნა. ამიტომ სულით და გულით ვისურვებ, ხაშურელებს კიდევ მრავალი 60 წლის განმავლობაში გვეიმედებოდეს, ჩვენს გვერდით არის ჩვენი ენერგიული, პატიოსანი, უზომოდ განათლებული და მიუკერძოებელი ჟამთააღმწერელი.

პატივისცემით, **გიორგი გურასპაშვილი**, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ყოველი ადამიანი თავისი ნაღვაწით იზომება

ყოველი ადამიანი თავისი ნაღვაწით იზომება. ჩვენს ქალაქს თუ ვინმე პყავს მოამაგე, რომელიც ასე ზრუნავს მის წარსულსა თუ მომავლისათვის, გარდასულადქვეულ აწმყოზე, რა თქმა უნდა, უპირველესად, უნდა ვახსენოთ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ბატონი თამაზ ლაცაბიძე. ბატონ თამაზს ფეხდაფეხ აქვს შემოვლილი და შესწავლილი ჩვენი მხარე, რომელსაც არაერთი წიგნი მიუძღვნა, ამიტომაცაა იგი ჩვენი რაიონის მემკვიდრე, ამიტომაც ქვეშაა მის მიერ შეგროვებული უამრავი მასალა ცნობილი ისტორიკოსებისათვის სანდო და საჭირო წყაროდ.

ბატონი თამაზი 60 წლის ბრძანდება, ვულოცავთ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას, საქართველოს გამთლიანებას და გაძლიერებას!

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების და სპორტის სამსახური



მუზეუმის ქურუმი

ბატონი თამაზის თაობა დემონსტრაციებითა და დროშა-ტრანსპარანტების ფრიალით არ მოსულა (ეს პროცესი მოგვიანებით იყო). ისინი უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების დერეფნებიდან უაღრესად განსწავლულები და ეროვნული მოტივებით დამუხტულები მოვიდნენ ახალი აზროვნებით, ახლი იღვებით, ახალი ენერგიითა და შეხედულებებით. ერთი კი მაშინვე ნათლად გამოიკვეთა – ეს თაობა ეროვნულ ნიადაგზე იდგა. მშობლიურ მიწა-წყალზე ლოცულობდა, წინაპართა მიერ გადმოცემულ უდიდეს საგანძურს – ქართულ ტრადიციებს ეთაყვანებოდა და აღმერთებდა. დიდი ილიას „ენა, მამული, სარწმუნოება“ საფიცარ ღოზუნგად გაისიგრძეგანეს. ჩვენი დღევანდელი იუბილარი, ბატონი თამაზ ლაცაბიძე სწორედ ამ ახალგაზრდობის ლიდერად წარმოჩინდა და ეს სრულიად ბუნებრივად მოხდა. მათ სავანედ და საბუნდარად მუზეუმში გაიხადეს. იქ იყო თამაზის სულის ნავსაყუდარი. იქ იყო მისი ჩანაფიქრების რეალიზაციის ნაღვი ადგილი. ამიტომ ეს ობიექტი (მუზეუმი) გადაიტეხა ახალ, ან როგორც მაშინ ამბობდნენ „სხვანაირად მოაზროვნეთა“ სამოქმედო ასპარეზად, საიდანაც იქ ნათქვამი და გაკვლევებული ყოველი სიტყვა რადიოს ტალღებით ვრცელდებოდა ქალაქში, რაიონში, რაც, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა საბჭოთა უშიშროებისათვის და ეს ობიექტი (მუზეუმი) განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა.

აი, ასე გამოვიდა დიდ ასპარეზზე ბატონი თამაზი თავის თანამოაზრეებთან (მე მათ განგებ არ ვასახელებ, რადგან შეიძლება ვინმე გამომჩნეს და უნებურად გული ვატკინო) ერთად. ეს ის თაობაა, რომელიც დღესაც თამაზის გვერდით დგას და წარმატებით აგრძელებს მაშინ წამოწყებულ ეროვნულ საქმეს. ამ ჯგუფმა საკეთებლად გადაინაწილა ყველა მისთვის საინტერესო თემა და სფერო და ვინ ლიტერატურა აირჩია, ვინ ჟურნალისტი გახდა, ვინ პოლიტიკოსი. ბატონმა თამაზმა თავისი საჯილდაო ქვედ აირჩია რაიონის ისტორიული წარსული. ფეხით შემოიარა მთელი რაიონი. ჩვენ, ვისაც რამდენჯერმე მაინც მოგვივლია ეს ადგილები, მაგრამ ვერაფერი შეგვიმჩნევია განსაკუთრებული, თამაზ ლაცაბიძემ ფეხის ერთი დადგმით იგრძნო იმ ფასეულობათა სიდიადე და მნიშვნელობა, რომელიც მიწის ზემოთ და ქვეშ გვექონია. მისმა მეცნიერულმა აღლომ და შრომისუნარიანობამ ყველა სიძნელე გადალახა და ყველაფერი, რაც რაიონში და, არა მარტო აქ, მოიძია, რუდუნებით შეკრიბა, ზოგი მუზეუმში დააგანა, ზოგი არქივებში, ზოგიც წიგნებად აქცია და ჩვენს შთამომავლობას ძვირფასი ისტორიული განძი დაუტოვა, რომელი განძიც განწირული იყო დასაკარგავად. ესეც მისი მეორე და მნიშვნელოვანი დამსახურებაა ხაშურისა და ქვეყნის მასშტაბით. სხვათა შორის, მის ასეთ მუხლჩაუხრელ შრომასა და თავგანწირვას უშედგოდ არ ჩაუვლია. ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა თამაზის კვალდაკვალ შექმნეს საინტერესო ისტორიული ნაშრომები სურამზე, ქვიშხეთზე, ხცისზე. ბევრი საღად მოაზროვნე ინტელიგენტი თამაზის ასეთმა მოღვაწეობამ დააინტერესა და ისინი შეუდგნენ თავიანთი გვარ-ჯილდავის ისტორიის შესწავლასა და წარმოჩინებას. ესეც მატებს ღირსებას და პატივს თამაზის პიროვნებას, როგორც ღირსეულ მოქალაქეს. როგორც ვიცი ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. იწერება გვართა წარმოშობის ისტორიები.

ბატონ თამაზის ინტერესთა სფერო მარტო რაიონის ისტორიის მატერიალურ ღირებულებათა მოძიება არ არის. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ღირებულებათა მოძიებისა და გამოზიურების საქმეში. თეატრი, სპორტი, სკოლა (საერთოდ განათლება), ტოპონიმია, ცნობილ გვართა ისტორიები ცხოვრებისა და მეცნიერების ის სფეროებია, რომელთა კვლევა და შესწავლა უადრესად მამულიშვილური საქმეა. აქაც თავის განსაკუთრებული სიტყვა თქვა ბატონმა თამაზმა. ესეც კიდევ მისი ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი წვლილი დიდი ქართველი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის კულტურული და მატერიალურ ფასეულობათა შექმნა-გადარჩენისა და წარმოჩინების საქმეში.

თამაზ ლაცაბიძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა თვალსაჩინოდ აისახა გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მრავალფეროვან წერილებსა და ნარკვევებში. თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება და გადახედავს ადგილობრივ გაზეთში მის მოღვაწეობას, შეამჩნევს როგორი წონისა და შემართების ავტორი შეიძინა გაზეთმა. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა მისი ნაშრომ-ნაშოღვაწეობის, რითაც ორივე მხარე დარჩა მოგებული, პირველ რიგში კი – მკითხველთა ინტერესები და ნიჭიერი ავტორი, როგორც

თამაზ ლაცაბიძის ფენომენი

ხაშურის კოლორიტსა და ჟამთააღმწერელს, ბატონ თამაზ ლაცაბიძეს 60 წელი შეუსრულდა. ეს არის ერის და ხაშურის საკეთილდღეოდ, მძიმე შრომისა და ოფლისღვრაში გატარებული წლები. ეს არის ფიქრსა და განსჯაში გატარებული უძილო ღამეები, ათასობით საარქივო მასალისა და დოკუმენტის, ანალიზი და მერე მათი წიგნებად, ნაშრომებად გადაქცევა, სამუზეუმო საქმის ორგანიზაცია და სრულყოფა, სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობა და ა. შ.

თუ დღეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ძალზე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოში, ამაში ღირსის წილი თამაზ ლაცაბიძეს ეკუთვნის. რომ არა მისი შრომი-სმოყვარეობა, განათლება და ნიჭი, ძნელად შეიქმნებოდა ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: „ხაშურის ისტორიის ორტომეული“, „სურამის ხეობა“ (კრებული ორ ტომად), „ხაშურის საფორტიფიკაციო ნაგებობანი“, „მასალები სახალხო განათლების ისტორიიდან ხაშურის რაიონში“ (რამდენიმე წიგნად), ხაშურის ისტორიული სოფლების ნარკვევები, ჟურნალების დაარსება და გამოცემა, კონფერენციებისა და ლექციების ორგანიზება, გამოფენების მოწყობა. რომელი ერთი ჩამოვთვალო?! სამწუხარო ისაა, რომ ამ ნაშრომების უმეტესობა გამოუცემელია. თავდ მათ ავტორს კი არა აქვს სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება.

ჩვენ, ხაშურის რაიონის მესვეურები სიამოვნებით ვუერთდებით ათასობით ჩვენი მოქალაქის გულწრფელ მოლოცვას და მათთან ერთად ვეუბნებით დიდ მადლობას ბატონ თამაზს გაწეული შრომისა და უანგარო ღვაწლისათვის.

ეს თქვენ ნამდვილად დაიმსახურეთ, ეს თქვენ ნამდვილად გეკუთვნით!

60 წელი შემოქმედებითი სიმწიფის წელია და იმედია, იგი კვლავ გაგვახარებს ახალი ნაშრომებით და მიგნებებით.

მრავალჯამიერ, ბატონო თამაზ!

დიდი სიყვარულით **ვაჟა შუბითიძე**, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მამულიშვილი, მეგობარი!

ხშირად მიფიქრია: როგორი უფერული და ღარიბი იქნებოდა ხაშურის საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ აქ – ჩვენს მშობლიურ ქალაქში, არ დადიოდა და მუხლჩაუხრელად არ შრომობდეს თამაზ ლაცაბიძე.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, თამაზი ცხოვრობს თავისი ადგილის დედით. ხაშურია მისთვის ანიც და პაეც, მისი კაცობის, მისი ქართველობის, მამულიშვილობის საყრდენი და ძალის მიმცემი, რომელსაც თვითონაც არ რჩება ვალში და ერთი კაცისათვის, მართლაც, წარმოუდგენლად დიდი სამკალით მოაქვს თავისი ცხოვრება, როგორც ვალი მშობლიური კუთხის სამსახურისა.

მიკერძოებაში არავინ ჩამოვდლას, თუ ვიტყვი, რომ დღემდე არავის იმდენი არ გაუკეთებია კონკრეტულად ჩვენი ქალაქისა და რაიონის ისტორიის შესწავლის საქმეში, რამდენიც თამაზს. არ დარჩენილა სფერო, რაც ხაშურსა და ხაშურის რაიონს უკავშირდება, რომ თამაზს თავისი წვლილი

(გაგრძელება --- გვერდზე)

მუზეუმის ქურუმი

(დასასრული)

თამაზია, ყველა გახეთისათვის სასურველი და ძვირფასი შენაძენი იყო. ამისათვის დიდი მადლობა ბატონო თამაზს. ჩვენ, შენს მეგობარ პურნალისტებს, გვეამაყება, რომ შენი ძირითადი ნაშრომების ნაწილი და ნაღვაწი ჩვენი გახეთის საშუალებით მიეწოდა საზოგადოებას.

უთქვამთ 3-4 წელიწადში თამაზის სახით რაიონს ახალი პროფესორი ეყოლებაო. ვფიქრობ, რომ მისი სახით ჩვენ კარგა ხანია გვეავს სრული და ნამდვილი პროფესორი, აკადემიკოსი - ქვეყნისა და ერის სიყვარულში.

თამაზ ლაცაბიძეს არც საგამომცემლო მოღვაწეობა არ უნდა დაუფიქვსოთ, ჟურნალი „ლიხი“ და სხვები სწორედ, მისი სულისა და გულის ნაჟურია.

უსარგებლოდ მოქმეტი და ხაშურელებს, რაიონის ყველა მცხოვრებს ვთხოვ გამოიწერონ, იკითხონ და შეინახონ გახეთი „ხაშურის მოამბე“ და რაც მთავარია, შეიფარონ იგი ისე, როგორც უყვარს ბატონ თამაზ ლაცაბიძეს - ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური ღონის მეტრს. ამით ყველა მოგებულები დავერჩებით.

საერთოდ, პირველ რიგში ჩვენი მოსახლეობა, მომავალი თაობა.

დასასრულს, როგორც წესი იუბილარს ყოველთვის რაღაცას ჩუქნიან.

ჩემო თამაზ! რა მოგართვათ, რით გაგახაროთ ჯიბეცარიელმა პურნალისტებმა. ასე რომ, რაც შეეძლია იმით მოგეფერებით და ჩაგეხუტებით. ძვენად მიიღეთ გახეთის ეს ნომერი, რომელიც თქვენი უახლესი მეგობრების ნამოღვაწარია. აგრეთვე, ათო წლით გიწერთ გახეთ „ხაშურის მოამბეს“. ათი წელი იქნება იგი თქვენი ოჯახისა და სამსახურის (სადაც არ უნდა იყოთ) მუდმივი სტუმარი.

რა გისურვოთ? ცხოვრებაში ჯანმრთელობაზე ძვირფასი არაფერია. პოლა, იცოცხლე და იბედნიერე. მრავალჯამიერ, ჩემო თამაზ, სამოცი წელიც არაფერია, წინ დიდი გზა და ქარაფებია, ნუ შეგაშინებს წელთა სიმრავლე და მისი თანმდევი სიძნელეები, ცხოვრებაში, სამსახურში. გვჯერა, ყველა სიძნელეს თქვენ ღირსეულად გაუმკლავდებით, ჩვენ კი ყოველი მომდევნო იუბილის აღსანიშნავად კიდევ ათ-ათ წლით გაგიგრძელებთ ხელმოწევას.

უღრმესი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით გახეთ „ხაშურის მოამბის“ რედაქტორი

რ. სუხიაშვილი

(დასასრული)

მამულიშვილი, მეგობარი!

არ შეეცანოს, თავისი სათქმელი არ ეთქვას და თანაც ასე დამაჯერებლად და ამომწურავად. ხაშურის რაიონის ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-კოშტების ისტორია, ტოპონიმების მთლიანი ციკლი, განათლების ისტორია ჩვენი რაიონისა, დიმიტრი ყიფიანისა თუ სხვა მამულიშვილთა ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული კვლევა, - მისი თვალსაწიერი იმდენად ფართო და შთამბეჭდავია, რომ გააკვირვება გიპყრობს: როგორ შეუძლია ერთ კაცს ამდენი ტვირთის ტარება. ის კი ამ

ყველაფერს საოცარი ხალისით, ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს.

თამაზს შეეძლო, დედაქალაქში დარჩენილიყო, დაეცვა ხარისხები, მას არცერთი უმაღლესი სასწავლებელი უარს არ ეტყობა, მითუმეტეს, რომ ის იყო თავისი დროის სტუდენტობის სანიშნო წარმომადგენელი, მაგრამ მან აირჩია მშობლიურ ქალაქში დაბრუნება და აქ

მოღვაწეობა. მუზეუმი იქცა მისი ცხოვრების განუყოფელ მეგზურად, რომელსაც აგერ უკვე რამდენი ათეული წელია, თავს ევლებს, და თუ ჩვენი მუზეუმი დღეს ერთ-ერთი პირველთაგანია თავისი საფონდო მასალებით, ესეც თამაზის გეგმაზომიერი, დაუღალავი შრომის შედეგია.

მე არაფერს ვიტყვი თამაზის ნაშრომებზე, ამას ღრო კიდევ უფრო კარგად შეაფასებს, საერთოდ, თამაზის ადვილად და მისი მოღვაწეობის

მნიშვნელობას, ალბათ, მომავალი უფრო ზუსტად განსაზღვრავს და საპატიო ადგილსაც მიუჩენს, მაგრამ დღეს, თამაზის დაბადებიდან 60 წლისთავზე, მინდა, **თქვენ**

ყველას განაგონად: ბედნიერი ვართ ხაშურელები, რომ გვეყვას თამაზ ლაცაბიძე, მეგობარი, მოღვაწე, შესანიშნავი ოჯახის პატრონი და დღეს უკვე დეფიციტად ქცეული დიდი ადამიანური სითბოთი და ეროვნული მეობით გულანთებულ მამულიშვილი.

მრავალჯამიერ, ჩემო მეგობარო! მურად მთვარელიძე

მემკვიდრე

მზე წვეთშიც და ზღვაშიც ერთნაირად აირეკლებაო, - უთქვამთ. სწორედ ეს ნათქვამი მახსენდება ახლა, როცა თამაზ ლაცაბიძის ნაშრომ-ნაღვაწზე ვფიქრობ...

გახული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში (ზუსტი თარიღი არ მახსოვს), ჩემმა მეგობარმა პროფესორმა სვიმონ გამსახურდიამ დამამთავრებელი კურსის ორი სტუდენტი თამაზ ლაცაბიძე და სერგო ვარდოსანიძე მოიყვანა სამეცნიერო-პედაგოგიური პურნალის „სკოლა“ და ცხოვრების რედაქციაში და მითხრა, ესენი მომავალი პერსპექტიული მეცნიერი-ისტორიკოსები არიან და ხელი უნდა შეგუწყოთო. ერთ-ერთი ამათგანი ხაშურელიაო, - დაამატა. ალბათ, ლაცაბიძე-მეთქი, - გაიფიქრე და არც შეეცდარვარ. მათთვის ხელშეწყობას რაც შეეხება, ჩვენს პურნალთან არსებული ყოველკვარტალური დამატების ფურცლებზე მათი სტატიების გამოქვეყნებაში დახმარებას გულისხმობდა ბატონი სვიმონი. მან მაშინვე გამომცა თამაზის სტატია, რომელშიც კარგად მახსოვს, ურბნისის ეტიმოლოგიაზე იყო საინტერესო მსჯელობა.

სვიმონ გამსახურდიას ვარაუდი გამართლდა. სერგო ვარდოსანიძემ, მართლაც, მოიხვეჭა სამეცნიერო წოდებები და ტიტულები. თამაზ ლაცაბიძე სხვა გზით წავიდა: იგი ზემო ქართლის, უფრო კი, მშობლიური ხაშურის რაიონის წარსულისა და აწმყოს პირობული მემკვიდრე გახდა. სამეცნიერო ხარისხების მფლობელთა და მაძიებელთა საწყენად არ ვამბობ, მაგრამ, დიდი ილიასი არ იყოს, კეთების ცოდნა ყველაზე დიდ ნიჭად მიმაჩნია. კეთებით კი, თამაზმა ბევრ ისტორიკოსს გაუსწრო. მან გამოიკვლია და წიგნებად დააწყო ხაშურის რაიონის ბევრი ისტორიული და კულტურული ძეგლი. ხაშურის რაიონის-მეთქი,

რომ ვამბობ, ეს ბატონი თამაზის ისტორიულ თვალსაწიერს როდი ავიწროებს, რადგან საქართველოს ისტორია აბსტრაქტული ცნება არ არის. საქართველოს ისტორია არის თვლავის, ბათუმის, გორის, ქუთაისის, თბილისის, ფოთის, ზესტაფონისა თუ ახალციხის და სხვათა და სხვათა ისტორიათა ერთიანობა. თამაზ ლაცაბიძის გამოკვლევებში, წრომის ტაძრის შესახებ, თუ იტრიის ტაძრის, ხაშურის გიმნაზიისა თუ სურამის სკოლის შესახებ, ერთიანი საქართველოს ისტორიაა ასახული.

თამაზ ლაცაბიძე ერთ ხანს ხაშურის ქალაქის თავიც (ანუ როგორც ახალ ვეროპოლად იტყვიან - მერი) იყო. ეს დიდი და საპატიო მოვალეობაა, მაგრამ მწიგნობარი კაცისთვის არც თუ ისე შესახებია. ბატონი თამაზი კი ნამდვილი მწიგნობარია და ასეთი კაცი სხვა, თუნდაც ფრიად „მადლი“ თანამდებობისთვის არ უნდა მოაგვინო. არც მოაგვინეს! ახლა იგი, საბედნიეროდ, ხაშურის ნამდვილი ინტელექტუალური შტაბის უფროსია.

„წლები მიჰქრიათ, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“ და თამაზ ლაცაბიძე 60 წლისა გამხდარა უკვე არა და, გუშინდელი დღესავე მახსოვს მისი გაცნობა და პირველი (მე მგონია!) სტატია, ორიგინალური თვალსაზრისი რომ გამოთქვა ურბნისის ეტიმოლოგიაზე.

სამოცი წელი სიბრძნის ასაკია, განსაკუთრებით მეცნიერი ისტორიკოსისათვის. სწორედ ამიტომ, სიბრძნის ასაკში შესვლას ვულოცავ ჩემს მეგობარ თამაზ ლაცაბიძეს და წარმატებას ვუსურვებ ყველგან, სადაც კი მომავალში მოუწევს საქმიანობა, ქალაქის მერობა იყოს თუნდაც!

ზურაბ ცუცქერიძე

მისი სავიზიტო ბარათი კვლავ მუზეუმია

მისი დაბადებიდან 50 წლისთავზე ვწერდი, რომ ისტორიკოს თამაზ ლაცაბიძის სავიზიტო ბარათი მუზეუმია-მეთქი, თუმცა იმხანად იგი ქალაქის მერი გახლდათ რვაწლიანი სტაჟით. და მიუხედავად მისი სამსახურებრივი კარიერისა, იგი ერთი წუთითაც არ განშორებია მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

გახული საუკუნის ოთხმოციან წლებში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იყო ჩვენი თაობის ნავთსაყუდარი, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა ქართული სული, ქვეყნის აფორიაქებული მაჯისცემა. ეს ის წლებია, როცა ეროვნული თვითშეგნება, დეკლარატივი საგულდაგულად გადაწახული ქართული ცნობიერება და დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა აპოკაფს აღწევს. თავისუფლების „ღურჯი ფრინველი“ კი ფრთის გაშლას აპირებს. მუზეუმის ახალბედა დირექტორთან მუდამ ხალხმრავლობაა. მამულის და განსაკუთრებით ხაშურის სიყვარულით დასნებოვნებული მარტო სამეცნიერო კონფერენციებით, გამოფენებით, პოეზიისა და ლიტერატურის საღამოებით არ შემოიფარგლება და თანამოაზრეებს დაატარებს ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად და შესასწავლად. წიგნთსაცავებში

თავდახრილი საუკუნეების მტვერს ისრუტავს და დღის სინათლეზე გამოაქვს ძვირფასი ფოლიანტები, იკვლევს და ეყვრება ხაშურის წარსულს, მისხალ-მისხალ აგროვებს დასავიწყებლად განწირულ სიტყვიერ თუ ნივთიერ მასალებს, სწავლობს ტოპონიმებს, იკვლევს რაიონში გავრცელებულ გვარ-სახელებს და როცა გამოცდილებით გამდიდრებული კვლავ მშობლიურ მუზეუმს უბრუნდება, უფრო მეტი ენერჯით იღვწის მამულის საკეთილდღეოდ და... მიდრდება სამუზეუმო ფონდი ცნობილი ადამიანების არქივებით, მათი გამოცემული წიგნებით თუ შრომებით. მისი თაოსნობით ეწყობა ამაგდარი მამულიშვილების საიუბილეო საღამოები, ტარდება ლექციები, კვლავ იფიქრობს წერილები იბეჭდება რაიონისა თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. დიმიტრი ყიფიანი და ექვთიმე თაყაიშვილი მისთვის ზნეობრივი გმირები არიან, ალბათ, ამიტომაც არ იყო გასაკვირი, როცა სწორედ მუზეუმიდან ამოვარდა „თავისუფლების ნიაქარი“, რომელიც შემდგომ ქარიშხლად იქცა და ხაშურის ახალგაზრდობაც ერთ-ერთი პირველთაგანი ჩაება ეროვნულ მოძრაობაში.

...და მიუხედავად იმისა, რომ სხვები უფრო მეტად ხმაურობდნენ, უფრო მეტად

აფრიანდებდნენ დროშებს და პარტიული „ბომონდებსაც“ ძირფესვიანად თხრიდნენ, მუზეუმის დირექტორი მაინც დარჩა ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვან ფიგურად ჩვენს რაიონში.

თამაზ ლაცაბიძე, თავისი მრწამსისა და ცხოვრების სტილის შესაბამისად, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ გვევლინება და იქიდან უპირისპირდება არსებულ ხელის-უფლებას... დაპირისპირება კი უფროსად ადრეულ წლებში იყო, თუ იყო... მახსენდება ერთი მხაურაიანი ეპიზოდი: საკაეშირო დაღვნილების - „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის“ წინააღმდეგ ღონისძიების შესახებ“ საქვეყნოდ მხარდაჭერის დროს რაიონის კომუნისტები იძულებით, მაგრამ მაინც იწინებენ ვაჩისა და ქვეყნის პარტიულ-სტუმრის ღიმონათითა და ბორჯომით გამასპინძლების ახლადდამკვიდრებულ წესს, მუზეუმის დირექტორი კი თავისი რადიკალური გამოსვლით გმობს პარტიული აქტივის კრების პათოსს და გულმხურავად კომუნისტებს „თავზე გადაახვეს“ იმ ზეპირ პურნალს, რთაც თავი უნდა მოეწონებინათ ცეკას წინაშე.

იმ პერიოდში ყველაზე ურჩი ხელმძღვანელი კომუნისტი ბოსებისათვის თამაზ ლაცაბიძე გახლდათ, მხარეთმც-

ოდნეობის მუზეუმი კი - აუღებელი ციტადელი.

ხემოთ ვწერდი, მისი პუბლიკაციები იბეჭდებოდა მეთქი... ახლა კი - 60 წლისთავზე, იგი ხელხევაიანად ხვედება საკუთარ იუბილეს. უკვე გამოცა მისი სამეცნიერო შრომებისა თუ ისტორიული წიგნების დიდი ნაწილი: „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან (I და II საჯარო სკოლები)“, „იტრია“, „სურამისა ციხე“, „ხაშურის რაიონის ძველი და ახალი ძეგლები“, „ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში“, „თეატრალური ხაშური“, „თეატრალური ხაშური 125“, „ოსიაური“ და სხვა.

გამოსაცემად მზადაა: „ხაშურის ისტორია (ორ ტომად)“, „სურამის ხეობა“, „ქართლის ჩხეიძეთა საგვარეულო ისტორია“, „ვეზირიშვილთა საგვარეულოს ისტორიისათვის“, „თეატრალური ხაშური“ (1875-2014 წ.წ.), „ხაშურის რაიონის საფორტიფიკაციო ნაგებობანი“... სამომავლოდ სხვა ბევრი ჩანფიქრიც აქვს... ვულოცავთ დღეწამისადმი მკვლევარს იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას რაიონისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

მაყვალა ხაჩიძე

ჩვენი ქალაქის უამთააღმწერი

ყველა ქალაქს ჰყავს გამორჩეული, კოლორიტული პიროვნებები, რომლებიც მის სულიერ, ზნეობრივ-ეთიკურ და ინტელექტუალურ სახეს ქნიან. ისინი გამორჩეულნი არიან პიროვნული ღირსებებით, ერუდიციით, მორალური ფასეულობებით, სიდარბაისლით, წიგნიერებით, მჭკრემეტყველობით და „სიტყვის კაცობით“. სწორედ ასეთი პიროვნებაა ბატონი თამაზ ლაცაბიძე, ჩვენი ქალაქის მემკვიდრე. მკვლევარი-მეცნიერი და მწერალი, რომელიც ექვსი ათეული წლის წინ „კარგი ხაშურელის“ ნიშნით მოვედინა ერთ კარგ, ღირსეული ქართულ ოჯახს. მან დედის რძესთან ერთად

შეიტკბო და შეისისხლონდა საქართველოს და თავისი მშობლიური კუთხის სიყვარული. სწრაფად გარბის წლები, ბედნიერი ბავშვობა, თავდაპირველად იყო დედაენისა და დედა ისტორიის მადლის ზიარება ერთ-ერთ უძველეს, ეროვნული ნიშნით გამორჩეულ ხაშურის №2 საშუალო სკოლაში, შემდეგ წარმატებული სტუდენტობა, დაწყებული სამეცნიერო კვლევა-ძიება, ანალიზი და შემდეგ უკვე ნაყოფიერი მუშაობის ათეული წლები...

მისი ღვაწლის და გაწეული შრომა რაიონის ისტორიული წარსულის კვლევაში შეუფასებელია, თამაზ ლაცაბიძის კალამს ეკუთვნის არაერთი ნაშრომი, რომელიც ჩვენი წინაპრების ყოფა-ცხოვრებას, გარდასულ დღეთა ქრონიკას ასახავს. ბატონი თამაზი თავის გუნდთან ერთად იკვლევს და

იცავს მატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც ჩვენი რაიონის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი და მუზეუმშია დაცული. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებას, რომელიც თავისი ინტელექტუალური და მატერიალური რესურსებით წარმოადგენს ხაშურისათვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ადგილს - ცოდნის ნათელ კერად აღიარებულს.

„მუზეუმელების“ ინიციატივით განხორციელებულია სხვადასხვა შემოქმედებით-ინტელექტუალური ღონისძიებები, შეხვედრა-საღამოები, სასკოლო პროექტები, რომლებსაც ბატონ თამაზის კვლევებთან ერთდ თლით მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, ეროვნული საგანძურთან, ხელფიქებისა და

ყოფითი ცხოვრების ფასეულობებთან მოზარდის ზიარება ზრდის მათ მოტივაციას ცოდნის დაუფლებაში, ჩვენს მომავალ თაობას ეხმარება თვითმყოფადობის დამკვიდრებაში, ეროვნული მუხტის გადავივებაში, რაც, საბოლოოდ, მათ კარგ მოქალაქეებად, კარგ ქართველებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

განათლების მუშაკთა, პედაგოგთა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელით, დიდი პატივისცემით ვულოცავთ ბატონ თამაზს 60 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ქალაქის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით მანანა აბაზაძე

